17/01/2025

MES 9 25 0000027990

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 24/12/2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:45 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე**;
2. **გოჩა თუთბერიძე -** შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **დავით ტეფნაძე -** შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი**;
4. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **დავით გეგეჭკორი -** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
6. **აკაკი ხელაძე -** სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **თამარ ტუფინაშვილი -** შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსსიტეტის აკადემიური მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **დიმიტრი ჯაფარიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

10. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
11. **ვასილ კიკუტაძე** - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
13. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
14. **გიორგი მირიანაშვილი** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზურუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

უმაღლესი საგანმანათლებლოდაწესებულებებისაკრედიტაციისსაბჭოსმოწვეული წევრები:

1. **ჯილდა ჭეიშვილი** - საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის საბჭოს წევრი;
2. **მაია ბიწკინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
3. **ეკა ბოჭორიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების რევიზიის სამმართველოს უფროსი;
4. **ნინო გაგუა** - შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტი;
5. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
6. **კახაბერ ვანიშვილი** -შპს მედ-დიაგნოსტიკის სამედიცინო ცენტრის დირექტორი;
7. **დავით თოთაძე** - შპს ჯეო ჰოსპიტალსის - თბილისის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორი;
8. **ლევან რატიანი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
9. **ივანე ჩხაიძე** -კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების,შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
10. **ხათუნა ზალდასტანიშვილი**- სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
11. **დავით კობეშავიძე**- შპს იმედის კლინიკის დირექტორი;
12. **ნათია სხვიტარიძე** - სსიპ - ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;
13. **ნინო შარიქაძე** - შპს ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები
გიორგი ირემაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ქეთევან პავლიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები
შპს ქუთაისის უნივერსიტეტი:

1. სოფიო ხუნდაძე - ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;
2. ნინო ტალიაშვილი - ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით;
3. თათია ხარაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. თამარ პერტაია - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
5. თეონა გრიგოლაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი;
6. თინათინ გოგნაძე - დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
7. ზაზა ავალიანი - დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
8. პანტელეიმონ კლდიაშვილი - აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
9. მირზა ხიდაშელი - ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;.

აკრედიტაციის ექსპერტები:

1. აზიმ მუჰამედ მირზაზადე (Azim Mohammad Mirzazadeh)(თავმჯდომარე);
2. დავით თოფურია (I საკითხი);
3. ლანა ბოკუჩავა (I საკითხი);
4. ელენე ჯღარკავა (II საკითხი)
5. ანჟელა აბულაძე (II საკითხი);
6. ავით სიხარულიძე (II საკითხი);.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1.შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "ფინანსებისა" და "აღრიცხვა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი ,,ლოგისტიკის" საბაკალავრო და „სატრანსპორტო ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1.შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "ფინანსებისა" და "აღრიცხვა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;.
3. "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54382 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
4. "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41738 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
5. "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,სამრეწველო დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41729 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
6. "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,ტექსტილის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41746 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
7. "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,ინტერიერის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 09 იანვრის №10250 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
8. " სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის

თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №46656 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
9. "სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №43885 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
10. "სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №43887 გადაწყვეტილებაში ;ცვლილების შეტანის შესახებ;
11. "სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "ჯაზის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №43889 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
12. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიური კვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 10 იანვრის №12991 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
13. "სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის „კომპოზიციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 10 იანვრის №13002 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პირველი საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - დიპლომირებული მედიკოსი;
2. საფეხური - ერთსაფეხურიანი;
3. სწავლების ენა - ინგლისური;
4. ECTS კრედიტების რაოდენობა - 360;
5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - დიპლომირებული მედიკოსი;
6. დეტალური სფეროს კოდი - 0912 მედიცინა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა გოჩა თუთბერიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, აზიმ მირზაზადე (Azim Mirzazadeh), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი შედგა 2024 წლის 15 და 16 ივლისს ქალაქ თბილისში. პირველ დღეს განხორციელდა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სხვა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ხოლო მეორე დღეს მოხდა ინფრასტრუქტურის, მატერიალური ტექნიკური ბაზებისა და ჰოსპიტლების დათვალიერება. მან აღნიშნა, რომ დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას დაწესებულება უკვე ახორციელებდა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ქალაქ ქუთაისში მდებარე კამპუსში, თუმცა შეფასებული პროგრამა არის ახალი და განხორციელებული იქნება ქალაქ თბილისში. დაწესებულებამ დასკვნის შესაბამისად შეიმუშავა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დეტალურად გაცნობის შემდეგ ერთი რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში. ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა როგორც პროგრამის ძლიერი, ისე გასაუმჯობესებელი მხარეები. პროგრამის ძლიერი მხარეები მეორე, მესამე, მეოთხე და გარკვეულწილად მეხუთე სტანდარტს, ხოლო გასაუმჯობესებელი მხარეები ძირითადად პირველ სტანდარტს მიემართებოდა. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის მიერ საკუთარი მისიის დებულებებზე დაყრდნობით უფრო მეტ დასაბუთებას თბილისში ახალი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შეთავაზების საჭიროების შესახებ, მაშინ როდესაც დაწესებულებას უკვე აქვს ეს პროგრამა ქუთაისში. შპს ქუთაისის უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს ვერ გასცა დამაჯერებელი პასუხი იმასთან დაკავშირებით თუ რატომ სურდა დაწესებულებას ამ პროგრამის თბილისში განხორციელება და ევროპის უნივერსიტეტის რესურსის გამოყენება ნაცვლად იმისა, რომ ამ პროგრამის გაუმჯობესებასა და სტუდენტების რაოდენობის გაზრდაზე ეზრუნა. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის განმავლობაში გამოიხატა სირთულეები. მაგალითად, დაწესებულებაში განთავსებული იყო ლოგოები და დროშები, რომლებიც აღნიშნავდნენ ახალი პროგრამის შესახებ ინფორმაციას, თუმცა როდესაც დაისვა კითხვა ახალი მედიცინის სკოლის არსებობის შესახებ ამ პროგრამისთვის, მათ აღნიშნეს, რომ ასეთი არ არსებობდა და გამოყენებული იქნებოდა შპს ევროპის უნივერსიტეტის რესურსები. გარდა ამისა, ამ პროგრამის მართვა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ვიცე-რექტორი, რომელიც პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე, დისტანციურად უზრუნველყოფს პროგრამის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მართვას. აზიმ მირზაზადეს (Azim Mirzazadeh) თქმით, მეორე რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის მიერ თბილისში ქუთაისის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დაინტერესებულ მხარეთა როლის დაზუსტებას პროგრამის შემუშავებაში, მათ შორის სწავლის შედეგების შემუშავებაში. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა დაწესებულების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის „პირდაპირი მეთოდის“ გადახედვას სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით. მისი თქმით, უნივერსიტეტის წარმოდგენილი გეგმა ძირითადად მოიცავდა არა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას, არამედ სტუდენტების პროგრესის შეფასებას. შესაბამისად, ამიტომ გაიცა ეს რეკომენდაცია. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა მიღწეული კომპეტენციების მიხედვით სავალდებულო კურსების თანმიმდევრობის განსაზღვრას. კლინიკური და პროფესიული უნარები ისწავლება პირველიდან მეექვსე კურსამდე, რაც ძალიან კარგია, თუმცა როდესაც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პირველი კურსის სილაბუსს და სასწავლო კურსის გეგმას

დადგინდა, რომ სტუდენტმა უნდა შეძლოს ჭრილობის სახის და დამწვრობის ხარისხის იდენტიფიცირება, მანიპულაციების განხორციელება, მხედველობის, ყნოსვისა და სმენის ორგანოებზე, რაც არ არის მართებული მანამ, სანამ სტუდენტები წინაპირობად არ შეისწავლიან „ანატომიასა“ და „ჰისტოლოგიას“. მისი თქმით, პროფესიული და „კლინიკური უნარები 2“-ის შეფასებისას გამოიყენება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, თუმცა მეხუთე კურსის ბოლოს ,,კლინიკური და პროფესიული უნარები 5“-ის შეფასება ხორციელდება ქვიზების, პრაქტიკული და თეორიული დავალებების შესრულებით. ექსპერტთა ჯგუფისთვის გაურკვეველი დარჩა ის თუ რატომ არ ხდებოდა მეხუთე კურსზე OSCE-ის გამოცდის ჩატარება სტუდენტებისთვის. მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ თითოეულ სასწავლო კურსს ჰყოლოდა კონკრეტული ავტორი ან ხელმძღვანელი, რათა უზრუნველყოფილ ყოფილიყო კურსის ეფექტური განხორციელება. მან აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი პირი არის ჩართული კურსების განხორციელებაში, თუმცა როგორც დაწესებულება ამბობს ამ კურსების მართვას ახორციელებენ მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელები. უნივერსიტეტის მოსაზრება არ არის გამართლებული, რადგან ორი ადამიანის მიერ კურსების განხორციელება დიდ შრომას მოითხოვს. ასევე, დამატებით გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ორი პირი იქნება ორივე ქალაქში განხორციელებადი პროგრამის ხელმძღვანელი. შესაბამისად, აუცილებელია, რომ სასწავლო კურსს ჰყავდეს ისეთი პირი, რომელიც მოახდენს მის ადმინისტრირებასა და მართვას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ბუნდოვანია აღნიშნული პროგრამის კავშირი ქუთაისში არსებულ მედიცინის პროგრამასთან და კავშირი თბილისში არსებულ ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამასთან. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ აფილირებული პროფესორების რაოდენობა გაიზარდოს პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რათა ახალი პროგრამა არ იყოს დამოკიდებული სხვა პროგრამების აკადემიურ რესურსებზე. ასევე, მსგავსი რეკომენდაცია გაცემული იყო ადმინისტრაციულ პერსონალის მიმართ, კერძოდ, რეკომენდებულია ადმინისტრაციული პერსონალის დამატება, რომელიც უშუალოდ დაეხმარება ამ პროგრამის განხორციელებას თბილისში. მისი თქმით, ბოლო რეკომენდაცია პროგრამის მიმართ ეხებოდა უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის გაუმჯობესებას დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისთვის, კერძოდ, ისეთი შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვას, რომელიც გაზომავს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონეს. აზიმ მირზაზადემ მადლობა გადაუხადა დაწესებულებას თანამშრომლობის ყველა ეტაპზე კოლეგიალური გარემოს შექმნისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოფიო ხუნდაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანია განავითაროს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებისა და ცოდნის მქონე პერსონალი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს კომპეტენტური კადრების მომზადებას არა მხოლოდ რეგიონისთვის, არამედ საერთაშორისო ბაზრისთვის. შესაბამისად, მისიისა და პროგრამის მიზნების შესაბამისობა მოთხოვნებთან დარღვეული არ არის. როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე დადასტურდა მოთხოვნის არსებობა ამ დარგის სპეციალისტებზე. ადგილობრივ ბაზარზე გამოიკვეთა ჯანდაცვის სექტორის ზრდა, ხოლო საერთაშორისო დონეზე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით ექიმებზე არსებული მნიშვნელოვანი დეფიციტი და ამ დეფიციტის ზრდა. შესაბამისად, ამ მიმართულებით სახეზე იყო სპეციალისტებზე არსებული მოთხოვნა, თუმცა ერთია მოთხოვნა, ხოლო მეორეა რატომ გაუჩნდა უნივერსიტეტს ამბიცია ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების. საერთაშორისო ექსპერტის მიერ სწორად იქნა აღნიშნული ის, რომ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მფლობელი ევროპის უნივერსიტეტია. ამ უკანასკნელს აქვს

როგორც რესურსი, ისე წარმატებული გამოცდილება აღნიშნული პროგრამის განხორციელების. პერსონალი, რომელიც ახორციელებს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამას თბილისში, ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალია და ეს არ ნიშნავს იმას, რომ 100%-ით დუბლირებულია ევროპის უნივერსიტეტიდან. პროგრამას ჰყავს საკუთარი განმახორციელებელი პერსონალი. იგივე შეიძლება ითქვას ადმინისტრაციულ პერსონალზეც. ადმინისტრაციული პერსონალი შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად, კერძოდ, პირველი ნაწილი, რომელიც თბილისში იქნება პროგრამის განხორციელების მიზნით და მეორე ნაწილი, რომელიც ქუთაისიდან დისტანციურად შეძლებს გარკვეული პროცესების მართვას. ის ადმინისტრაციული პერსონალი, რომელიც თბილისში უნდა იყოს, ეს უკვე გათვალისწინებულია, რომლის მტკიცებულად ექსპერტებისთვის გაზიარებული იყო წინარე სახის შრომითი ხელშეკრულებები და ექსპერტთა ჯგუფი მათ სააკრედიტაციო ვიზიტზეც შეხვდა. დაწესებულების აზრით, არსებობს ისეთი საკითხები, რომელთა განხილვაც დისტანციურად შესაძლებელია. მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან დაკავშირებული საკითხები. წინარე ხელშეკრულებები გაფორმებულია 12 ადმინისტრაციულ პერსონალთან, ვინც თბილისში მოემსახურება პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების პროცესს, კერძოდ, დეკანის მოადგილე, საგამოცდო ცენტრისა და საქმის წარმოების წარმომადგენელი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, IT სამსახურის წარმომადგენლები, სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელები და ა.შ. უნივერსიტეტი მზად არის საჭიროების იდენტიფიცირების შემთხვევაში გაზარდოს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ეტაპზე. სოფიო ხუნდაძემ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი გახდა ის, რომ ქუთაისის უნივერსიტეტი უკვე ახორციელებს მსგავს პროგრამას. შესაბამისად, მან მსგავსი პროგრამა წარადგინა სააკრედიტაციოდ, რომელიც არ იყო უზრუნველყოფილი თბილისში არსებული დაინტერესებული მხარის ჩართულობით. მისი თქმით, დაწესებულებამ განსახილველი პროგრამა გაუზიარა დაინტერესებულ მხარეებს და გაითვალისწინა მათი მოსაზრებები. პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყო ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, მათი მოსაზრებების, შეფასებებისა და რჩევების მიღების მიზნით. მან აღნიშნა, რომ ამ პროგრამის მიმართ ძალიან ბევრი გარე შეფასება განხორციელდა, რომლის დროსაც არ გამოკვეთილა მნიშვნელოვანი ხარვეზები, თუმცა გარკვეული შენიშვნები იყო, რომლებიც დაწესებულებამ გაითვალისწინა პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამაზე მომუშავე კომიტეტის მიერ. მაგალითად, პოტენციური დამსაქმებლების მიერ მუდმივად დასახელებული სურვილი პრაქტიკული და კლინიკური უნარების გაძლიერებასთან დაკავშირებით შესრულებულია და პროგრამის სასწავლო კურსებს დაემატა სავალდებულო მორიგეობები. უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ რეკომენდაციით განსაზღვრული მოთხოვნები სრულად გათვალისწინებულია, რადგან პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყო ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობა. მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე შეფასდა და ჩამოყალიბდა პროგრამის შინაარსის საბოლოო ვერსია, რაც ცალსახად მიუთითებს დაინტერესებული მხარეების როლსა და ჩართულობაზე საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების ეტაპზე. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის ეს რეკომენდაცია ბუნდოვანია. უნივერსიტეტი ნამდვილად ადასტურებს იმას, რომ ახორციელებს სწავლის შედეგების პირდაპირ შეფასებას აკადემიური მოსწრების ანალიზის მეთოდით. დაწესებულება აკადემიური მოსწრების ანალიზის დროს ითვალისწინებს ძირითადი სწავლის სფეროს ყველა სასწავლო კურსს და ამ სასწავლო კურსებზე დაფიქსირებული ყველა სტუდენტის აკადემიურ მოსწრებას. ანალიზდება ბოლო სამი წლის მონაცემები შედეგებისა და დასკვნების ვალიდურობის მიზნით, რათა გამოირიცხოს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ძლიერი და სუსტი ჯგუფი. აღნიშნული ანალიზის შედეგად დადგენილია სამიზნე ნიშნულები, რომლისთვისაც დაწესებულება იყენებს „გაუსის განაწილებას“. მოწმდება თითოეულ სასწავლო

კომპონენტში სტუდენტთა რამდენი პროცენტი იღებს შეფასებას A (ფრიადი) და შეფასებას F (ჩაიჭრა) 10%-იან ზღვართან მიმართებით. იმისათვის, რომ შედეგები იყოს ლოგიკური, მოწმდება ისეთი ჯგუფები, სადაც კონკრეტულ სასწავლო კომპონენტზე დარეგისტრირებულია 10 სტუდენტზე მეტი. შესაბამისად, დადგენილია შიდა ზღვრები იმისთვის, რომ სტუდენტი საბოლოო შეფასებაზე იყო დაშვებული. ამრიგად, პირდაპირი სწავლის მეთოდი უნივერსიტეტში არსებობს, რომელიც დადასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არაერთი დოკუმენტით. სოფიო ხუნდაძემ მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდაზე პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რისი დასტურიცაა აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის შეთავაზებული ხელშეწყობის მექანიზმები. კანონის შესაბამისად, ევროპის უნივერსიტეტსა და ქუთაისის უნივერსიტეტს ყავთ სხვადასხვა აფილირებული პერსონალი. სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ მერვე რეკომენდაციის საკითხი, რომელიც ადმინისტრაციულ პერსონალს ეხებოდა, მოიცვა პირველ რეკომენდაციაზე საუბრით. მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის უკავშირდებოდა მესამე რეკომენდაციას, რომელზეც დაწესებულებას უკვე ჰქონდა საკუთარი პოზიცია დაფიქსირებული, რომ უნივერსიტეტში დანერგილია სწავლის შედეგების შეფასების საყოველთაოდ მიღებული მეთოდი. პროგრამის ხელმძღვანელმა, ზაზა ავალიანმა პირველ და მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქართული სამედიცინო განათლება იმყოფება დინამიკური განვითარების ისეთ ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზე, როდესაც ხდება ყველა ღირებული რესურსის მაქსიმალური კონსოლიდაცია. მისი თქმით, დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის იმ მოსაზრებას არ ეთანხმება, რომ პროგრამა ვერ განხორციელდება თბილისში. თბილისსა და ქუთაისს შორის დაახლოებით სამ საათიანი მანძილია, რაც პროგრამის განხორციელებას ეჭვქვეშ არ აყენებს. ის პერსონალი, რომელიც აფილირებული სახით არის წარმოდგენილი, გამიჯნულია ერთმანეთისაგან. როდესაც ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს დიდი რესურსი ასეთი პროგრამის განხორციელების, მაშინ რატომ უნდა წარმოადგენდეს პრობლემას ამ უნივერსიტეტმა სხვა უნივერსიტეტს დახმარების ხელი გაუწოდოს, პირიქით, ეს ხელს შეუწყობს პროგრამების განვითარებას. პროგრამის თანახელმძღვანელმა, თინათინ გოგნაძემ მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომელიც ეხება 1.4 კომპონენტს, რომ ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ შემდეგს: „კლინიკური და პროფესიული უნარები ისწავლება პირველიდან მეექვსე კურსამდე, თუმცა, პირველი წლის სილაბუსი და სასწავლო გეგმა მიუთითებს, რომ პირველი კურსის ბოლოს სტუდენტს უნდა შეეძლოს ჭრილობის ტიპის იდენტიფიცირება, ნაკერის ტიპის განსაზღვრა, დამწვრობის ხარისხის აღწერა, ან დამწვრობის ხარისხის შეფასება, აგრეთვე მხედველობის, სმენის და ყნოსვის ორგანოებზე მანიპულაციების ჩატარება. თუმცა, სტუდენტს ამ დროისთვის ჯერ არ აქვს ნასწავლი ანატომია და ჰისტოლოგია სხვა ფუნდამენტურ საგნებთან ერთად“. მისი თქმით, აღნიშნულ რეკომენდაციაზე ინსტიტუციის პასუხი იყოფა ორ ნაწილად. პირველი ნაწილი ეხება სავალდებულო კურსების თანმიმდევრობის ისე განსაზღვრას, როგორც ამას პროგრამა ითვალისწინებს, ხოლო მეორე ნაწილი ეხება ამ რეკომენდაციის სხვა ფორმით გათვალისწინებას. აღნიშნული პროგრამა არის ინტეგრირებული პირველივე სემესტრიდან. თავისის სტრუქტურის მიხედვით ის მოიცავს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრაციას. ჰორიზონტალური ინტეგრაცია პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსების ინტეგრირებულ მოდულებში პირველივე სემესტრიდან გამოიხატება და აისახება ერთ მოდულში. მან აღნიშნა, რომ პირველივე სემესტრიდან პროგრამაში ისწავლება საყრდენ - მამოძრავებელი სისტემის, კანის და შინაგანი ორგანოების ანატომია, ჰისტოლოგია, ფიზიოლოგია და სხვა შესაბამისი ფუნდამენტურ საგნები. მედიცინის მიმართულებით ჩატარებულ კონფერენციებზე ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ პირველივე სემესტრიდან სტუდენტი ჩართული უნდა იყოს კლინიკურ გარემოში, რაც გულისხმობს არა მხოლოდ კლინიკაში ან ჰოსპიტალში მის არსებობას, არამედ კლინიკურ სივრცეში მის ადაპტირებას. აქედან გამომდინარე, პროგრამის სტრუქტურა გაწერილია იმის მიხედვით, რომ პირველ

სემესტრში, როდესაც სტუდენტი სწავლობს რომელიმე ორგანოს და სისტემის ანატომიას, მას პარალელურად უნდა მიყვებოდეს კლინიკური და პროფესიული სასწავლო კურსი, რომელიც სხვადასხვა მანიპულაციური მოქმედებებით სტუდენტს მისცემს ამ სისტემაზე სიღრმისეულ ცოდნას. პროგრამაში არსებულ „დანართ 2“-ში აღნიშნული მანიპულაციები და უნარები ფასდება გაცნობის დონეზე. აღნიშნული სისტემების ანატომიის შესწავლა ხდება მესამე სემესტრში, ხოლო კლინიკურ სასწავლო კურსებში ამ სისტემებზე მანიპულაციის ჩატარება ისწავლება მეორე სემესტრში. მან აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების მიღწევას ეს რისკებს არ უქმნის, თუმცა დაწესებულება გაითვალისწინებს ამ მარტივად გამოსწორებად რეკომენდაციას. მან აღნიშნა, რომ მედიცინის პროგრამაში არსებობს 90-მდე სასწავლო კურსი. ამ 90 სასწავლო კურსიდან 70 არის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები, რომლებიც პროგრამის შედეგზე გადიან. შესაბამისად, რეკომენდაცია, რომელიც სტრუქტურის განსაზღვრას ეხებოდა, ერთ და არა მრავალ სასწავლო კურსზე იყო ორიენტირებული. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როდესაც დგება პროგრამის ან სილაბუსის შემუშავების ეტაპი, შინაგანაწესის გათვალისწინებით, სილაბუსში გათვალისწინებული ყველა განმახორციელებელი პერსონალი იკრიბება და ერთად განიხილავს სილაბუსში ან პროგრამაში განსახორციელებელ ცვლილებებს და ფორმდება შესაბამისი ოქმი. ასევე, ყოველი სემესტრის დაწყების წინ ამ საკითხზე მსჯელობა ყოველთვის არის სილაბუსის ავტორებთან ერთად. შესაბამისად, ჯერ არ დამდგარა პრობლემა იმის შესახებ, რომ თითოეული სილაბუსი საჭიროებს საკუთარ ხელმძღვანელს. მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „კლინიკური და პროფესიული უნარები'' ისწავლება 11 სემესტრის განმავლობაში და მოიცავს სიმულაციურ გარემოში პრაქტიკას და არა ჰოსპიტალში. შესასწავლი შინაარსის გათვალისწინებით OSCE-ის გამოცდით სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხდება შემდეგი სასწავლო კურსების ,,კლინიკური და პროფესიული უნარები I, II, III, IV, VII, VIII, IX, X, XI'' ფარგლებში. ყველა მათგანში შეფასების მეთოდად გამოყენებულია OSCE, გარდა ,,კლინიკური და პროფესიული უნარები 5“-ისა და ,,კლინიკური და პროფესიული უნარები 6“-ის. ,,კლინიკური და პროფესიული უნარები 5“ არის პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ხოლო ,,კლინიკური და პროფესიული უნარები 6“ კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება. ე.ი. ერთი "PBL", ხოლო მეორე "CBL". ერთი შემთხვევა განიხილება სამი შეხვედრის ფარგლებში და სტუდენტს ეძლევა საშუალება, რომ მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და მისი გადაჭრის სწორი გზა, მათ შორის, ,,კლინიკური და პროფესიული უნარები 6“-ში იპოვოს მკურნალობის სწორი გზები. ამრიგად, აღნიშნული სასწავლო კურსები თავისი შინაარსიდან გამომდინარე არ ექვემდებარებიან OSCE-ის გამოცდას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ შპს ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს ძლიერი მატერიალური ტექნიკური ბაზა, რომელიც ექსპერტებმა ნახეს. დაწესებულებას OSCE-ის გამოცდისათვის მოთხოვნილზე მეტი ოთახი აქვს. შესაბამისად, ექსპერტების შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა სასწავლო კურსის ბოლოს არ ტარდება OSCE, გაუგებარია. ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორმა, სოფიო ხუნდაძემ განაცხადა, რომ არსებული რეკომენდაციების პირობებში ძალიან არის დამძიმებული ის თუ როგორ არის შეფასებული დაწესებულების მხრიდან მოთხოვნების დაკმაყოფილება კონკრეტულ კომპონენტებში (განსაკუთრებით 1.3, 1.4 და 4.1 კომპონენტებში). 1.4 კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ერთი სასწავლო კურსის კონკრეტული თემათიკის შესახებ არის მოცემული განზოგადებული სახით და ამ ერთი რეკომენდაციის საფუძველზე სტანდარტი „ნაწილობრივ შესაბამისად“ არის შეფასებული. მსგავსი შემთხვევა არის 1.3 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგების შეფასებას. ქუთაისის უნივერსიტეტისა და ევროპის უნივერსიტეტის რესურსების გადაფარვასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ეს რესურსები კომპლექსურად და გამიჯნულად ფასდება, რაშიც მოიაზრება აუდიტორიებისა და ლაბორატორიების ოთახების რაოდენობის, მათი გამტარუნარიანობის, აკადემიური პერსონალისა და დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის შეფასება. საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადემ (Azim Mirzazadeh) აკრედიტაციის საბჭოს

გაუზიარა ცხრილი, სადაც მოცემული იყო ერთი სემესტრის მანძილზე ოთხი კურსი. მან აღნიშნა, რომ თუ სტუდენტი ვერ მიაღწევდა კონკრეტულ სწავლის შედეგს ერთი კურსის ფარგლებში, მაშინ ის ავტომატურად ვერ მიაღწევდა მას მეორე, მესამე და მეოთხე კურსში. შესაბამისად, მან გაუსვა ხაზი იმის მნიშვნელობას, რომ აუცილებელია შემუშავდეს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ისეთი სისტემა, სადაც სისტემურად შეფასდება კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევა სემესტრში და არა სტუდენტების აკადემიური პროგრესი ინდივიდუალური კურსის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ჯილდა ჭეიშვილმა, კითხვით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს. მისი თქმით, 2024 წლის 27 სექტემბრის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ტექნიკურ უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია და სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განესაზღვრა 27 690 სტუდენტი. მას აინტერესებდა რა რაოდენობის სტუდენტი ჰყავდა ამჟამად ტექნიკურ უნივერსიტეტს. გარდა ამისა, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტი სრულად შეავსებდა განსაზღვრულ კვოტას. ასევე, გათვალისწინებული იყო თუ არა ისეთი სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორიცაა „იჯარა“. ჯილდა ჭეიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დაწესებულებას პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს უცხო ენის ცოდნა B1 დონეზე. მას აინტერესებდა, სად და როდის ხდებოდა უცხო ენის ცოდნის B2 დონეზე შეფასების განსაზღვრა და შეფასება. დარგობრივი დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ პროგრამაში შეფასების ერთ-ერთ მეთოდად უნდა იყოს პორტფოლიო ან Logbook-ი. მას აინტერესებდა, რომელ კომპონენტში ჰქონდა აღნიშნულ პროგრამას განსაზღვრული მოცემული „ლონგიტუდური“ შეფასების მეთოდები . უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა განმარტა, რომ წელს როგორც სსიპ საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, ისე შპს ქუთაისის უნივერსიტეტმა გაიარა ავტორიზაცია. მისი თქმით, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საავტორიზაციო დოკუმენტაციაში აღნიშნული იყო „იჯარის ხელშეკრულება“. შპს ქუთაისის უნივერსიტეტმა ასევე გარკვეული ფართი კიდევ დაიმატა ავტორიზაციის პროცესშიც. საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულია, რომ ეს ფართი იჯარით არის გაცემული შპს ქუთაისის უნივერსიტეტზე. საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადემ (Azim Mirzazadeh) განაცხადა, რომ 2.3 და 2.4 კომპონენტი, რომელიც სწავლა-სწავლების შეფასების მეთოდებს ეხება, სრულ შესაბამისობაშია და ამ კომპონენტებში არანაირი ნაკლოვანება არ გამოვლენილა და შესაბამისად, პორტფოლიოსა და Logbook-თან დაკავშირებით კითხვის გასაცემად მასალების გადახედვა დასჭირდება. პროგრამის თანახელმძღვანელმა, თინათინ გოგნაძემ განაცხადა, რომ პროგრამა არის ერთსაფეხურიანი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტმა უნდა მიაღწიოს B2.2 დონეს, რათა შეძლოს სასწავლო ლიტერატურის წაკითხვა და გააზრება. პროგრამის სასწავლო გეგმაში ამის შესახებ დეტალურად არის მოცემული. სტუდენტი, რომელიც ამ პროგრამაზე ჩაირიცხება B1 დონის ინგლისური ენის ცოდნით, მას შესაძლებლობა მიეცემა, რომ B2.1 და B2.2 დონის ინგლისური გაიაროს ორი სემესტრის განმავლობაში B2 დონის მიღწევის მიზნით და ეს პროგრამისთვის არის პრიორიტეტული დაწყებით სემესტრებში. მან აღნიშნა, რომ პროგრამაში „პორტფოლიო“ არის „შინაგანი მედიცინის“ სასწავლო კურსის მიმართულებით, ხოლო „Logbook“-ები მორიგეობების სახით არის ჩადებული იმ სასწავლო კურსებში („შინაგანი მედიცინა“, „ქირურგია“, „გადაუდებელი მედიცინა“, „პედიატრია“, „მეანობა-გინეკოლოგია“), რომლებიც ხორციელდება კლინიკაში. საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, როდესაც საუბარია პროგრამის სასწავლო კურსებზე და მათ სილაბუსებზე, აუცილებელია მითითებული იყოს სილაბუსის ავტორი (ები) და ეს ავტორები კლინიკური სწავლების მოთხოვნების მიხედვით უნდა ფლობდნენ აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამის სპეციალიზაციას. როგორც საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, პროგრამის ხელმძღვანელები შეითავსებდნენ

სილაბუსის ავტორის მოვალეობებს. მას აინტერესებდა, რამდენად სწორად მიაჩნდა დაწესებულებას სერტიფიკატის არ მქონე სპეციალისტი ყოფილიყო სილაბუსის ავტორი. პროგრამის თანახელმძღვანელმა, თინათინ გოგნაძემ განაცხადა, რომ ის ეთანხმებოდა ხათუნა თოდაძეს იმ ნაწილში, რომ სილაბუსი უნდა შეადგინოს იმან, ვისაც აქვს სერტიფიკატი შესაბამის სპეციალობაში. დაწესებულების შიდა რეგულაციით პროგრამის ხელმძღვანელი არ წერს სილაბუსს. რა თქმა უნდა, სილაბუსს ჰყავს საკუთარი განმახორციელებელი პერსონალი. მაგალითად, „ქირურგიის“ სილაბუსს არ ჰყავს ერთი ავტორი იმიტომ, რომ სილაბუსის შემუშავებაში ჩართულია მთლიანად „პროგრამის განვითარების კომიტეტი“. მისი თქმით, ეს უფრო გამჭვირვალე მიდგომაა და უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი კადრების მაქსიმალურ ჩართულობას თავიანთი პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით, ხოლო რაც შეეხება შემდგომში განსახორციელებელ ცვლილებებს, ისინი იგეგმება პროგრამის ხელმძღვანელისა და „პროგრამის განვითარების კომიტეტის“ ერთობლივი ძალისხმევით. პროგრამის ხელმძღვანელმა, ზაზა ავალიანმა განაცხადა, რომ სილაბუსის „გუნდური“ მეთოდით შედგენა არ ეწინააღმდეგება აკადემიური თავისუფლების პრინციპს. ასევე, აღინიშნა, რომ ყველა ის პერსონალი, რომელიც კლინიკური დისციპლინების მიმართულებით მუშაობს, ადასტურებს შესაბამის კვალიფიკაციას არამარტო დოკუმენტაციით, არამედ პროგრამა ითხოვს მათგან მინიმუმ 5 წლიან პრაქტიკულ გამოცდილებასაც. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ პროგრამას ყავს საკმარისი რაოდენობით პერსონალი, რომ დააკმაყოფილოს უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაკმაყოფილება. ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორმა, სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას უარი არ უთქვამს ავტორის გამოჩენაზე. უნივერსიტეტის ხედვით, ყველა ის ადამიანი, რომელიც ჩართულია სილაბუსის შემუშავებაში, სილაბუსის ავტორია პროცესში მათი თანაბარი ჩართულობიდან გამომდინარე. სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იმ სქემას, რომელიც საერთაშორისო ექსპერტმა წარმოადგინა, დაწესებულების საკუთარი მიდგომა არ ეწინააღმდეგება. უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შეფასებას მეოთხე სასწავლო კურსშიც ახდენს. შესაბამისად, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ამ სასწავლო კურსის ფარგლებში სწავლის შედეგები მიღწეულია, მაშინ ყველა მის წინაპირობა სასწავლო კურსშიც იქნა მიღწეული. საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, კითხვით მიმართა საერთაშორისო ექსპერტს კლინიკურ სწავლებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, რამდენიმე სილაბუსში მოცემულია კლინიკური დისციპლინები, რომლებსაც ფინალურ შეფასებად მხოლოდ OSCE აქვთ მითითებული, ხოლო დანარჩენ კლინიკურ სილაბუსებში OSCE წარმოდგენილია ოთხი ან ორი სადგურით. მაგალითად, „გადაუდებელ მედიცინაში“ და „მეან-გინეკოლოგიაში“ 4-4 სადგურია წარმოდგენილი, ხოლო „ქირურგიაში“ - მხოლოდ ორი. მას აინტერესებდა, რამდენად მართებულია დასკვნითი შეფასების ნაწილში გამოყენებული იყოს ორი და ოთხი სადგური OSCE-ის ტიპის გამოცდის დროს. საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადემ (Azim Mirzazadeh) განაცხადა, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ იყო მარტივი იმიტომ, რომ ეს საკითხი ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გამოწვევაა. თუ გაიზრდება სადგურების რაოდენობა, მაშინ უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს სტუდენტთა რაოდენობა და მათზე ზედამხედველობა. როდესაც საუბარია სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებაზე, თითოეული როტაციის დასრულების შემდეგ სასურველია გაიზარდოს სადგურების რაოდენობა, თუმცა ყოველივე ამის შესრულება დამოკიდებულია უნივერსიტეტის რესურსზე. ჯამში კი ამ საკითხის გამოწვევას წარმოადგენს შეფასების ხელსაყრელობასა და სიზუსტეს შორის წონასწორობის წერტილის პოვნა, რადგან სწავლის შედეგების მიღწევადობის გასაზომად საჭიროა როტაციების მრავალფეროვნება, მაგრამ ამავდროულად არ უნდა გამოგვრჩეს პროგრამის რესურსებიდან გამომდინარე შეფასების ხელსაყრელობის საკითხიც. ხათუნა თოდაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, სტუდენტის მიერ ძირითად კურსებში ორი სადგურის გავლის შემდეგ საჭირო იყო თუ არა ამოცანების შეცვლა. ასევე, რას ფიქრობდა დაწესებულება სტუდენტებს შორის ინფორმაციის გაცვლის პრევენციასთან დაკავშირებით. პროგრამის თანახელმძღვანელმა, თინათინ გოგნაძემ აღნიშნა,

რომ ორ და ოთხსადგურიანი OSCE წარმოადგენს „Mini OSCE“-ის, რომელიც გულისხმობს "Checklist"-ების დეტალურ გაწერას. დაწესებულება აქტიურად ცვლის შეფასებასა და სცენარს სტუდენტებს შორის საკითხების გაცვლის პრევენციის მიზნით. საკითხების შეცვლა აქტიურად ხდება როგორც პროგრამის ხელმძღვანელის და სასწავლო კურსის ავტორის, ისე „სიმულაციური ცენტრის“ მიერ. დაწესებულებაში არსებობს OSCE-ის კომიტეტი, რომელიც ჩართულია "Checklist"-ებისა და სცენარების შემუშავების პროცესში. შესაბამისად, ეს კომიტეტიც უზრუნველყოფს საკითხების ცვლილებას. თორმეტსადგურიანი OSCE ამ ეტაპზე არის „შინაგან მედიცინა 1“-ში, რომელიც აჯამებს მთლიანი შინაგანი მედიცინის ნაწილს. იგი ასევე დაეთანხმა საერთასორისო ექსპერტს იმ მოსაზრებაში, რომ ძალიან რთულია ყველა სასწავლო კურსის ბოლოს თორმეტსადგურიანი OSCE-ის შეთავაზება. პროგრამის ხელმძღვანელმა, ზაზა ავალიანმა აღნიშნა, რომ თორმეტ და მეტ სადგურიანი OSCE უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარი ეხება ფინალურ გამოცდას ან ინტეგრირებული გამოცდის ფორმას, რაც მიზნობრივად უნდა იქნას გამოყენებული სწავლის შედეგების მიღწევისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, თუ ხუთი სპეციალისტისაგან შემდგარმა ჯგუფმა შეძლო სილაბუსის შედგენა, მაშინ რატომ თვლიან ექსპერტები პრობლემურ საკითხად იგივე ჯგუფის მიერ სილაბუსში ცვლილების შეტანის საკითხს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამჟამად თვრამეტი ადმინისტრაციული პერსონალი ჰყავს, ხოლო თორმეტი ადმინისტრაციული პერსონალის აყვანას გეგმავს პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ. შესაბამისად, მათი ჯამი ნამდვილად არ არის ცოტა პროგრამის განხორციელებისთვის. მას აინტერესებდა, რატომ თვლიან ექსპერტები ამ ჯამურ რაოდენობას არასაკმარისად პროგრამის განხორციელებისთვის და როგორი უნდა იყოს თანაფარდობა სტუდენტებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის. საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადემ (Azim Mirzazadeh) განაცხადა, რომ ის არ ეწინააღმდეგებოდა რამდენიმე პროფესორის მიერ სილაბუსის შემუშავებას. მისი თქმით, რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება ჩართული ამ პროცესში, მით უფრო დახვეწილი იქნება სილაბუსი. რეკომენდებული იყო, რომ სასწავლო კურსებს ჰყოლოდა ლიდერი, ვინაიდან პროგრამა არის ახალი, მოიცავს 12 სემესტრს, ხორციელდება 6 წლის მანძილზე და მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელი ვერ გაუმკლავდება სამუშაოს ამ მოცულობას. სასწავლო კურსების დანერგვაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ერთი პირი და არა მთლიანი გუნდი, რათა არ მოხდეს გაუგებრობები. თითოეულ სასწავლო კურს უნდა ჰყავდეს ე.წ. ლიდერი, რომელიც გამოავლენს გარკვეულ გასაუმჯობესებელ მხარეებს. მან აღნიშნა, რომ მისთვის არ იყო ცნობილი კონკრეტული რაოდენობა ადმინისტრაციული პერსონალის. ვიზიტის დროს განხორციელებული შეხვედრების დროს გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციული პერსონალის ერთი ნაწილი დასაქმებული იყო ქუთაისში, ხოლო მეორე ნაწილი თბილისში. ზოგიერთ შემთხვევაში კი რთული იყო მათი დასაქმების ადგილის შესახებ ინფორმაციის დადგენა. ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო დაწესებულებისაგან სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, თუმცა შეფასების დროს მხედველობაში მიიღება არა უნივერსიტეტის სამომავლო გეგმები, არამედ ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობა. მდგრადობის კუთხით მან ხაზი გაუსვა პროგრამის განხორციელების ადგილზე მუდმივად მყოფი ადმინისტრაციული პერსონალის აუცილებლობას. სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ 12 ადამიანთან გაფორმებული ე.წ. წინარე სახის ხელშეკრულება არ არის სამომავლო გეგმა. ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა ვალდებულება, კერძოდ, დამსაქმებელს ავალდებულებს, რომ დასაქმებული შეთანხმებულ პოზიციაზე აიყვანოს მას შემდეგ, როდესაც პროგრამა მიიღებს აკრედიტაციას და აყვანილი თანამშრომლები იმუშავებენ უშუალოდ ქალაქ თბილისში. ვიზიტის დროს ეს 12 ადამიანი იმყოფებოდა ადგილზე, თუმცა მონაწილეობას არ იღებდნენ ინტერვიუების პროცესში. ერთ-ერთი მათგანი იყო „სიმულაციური ცენტრის“ ხელმძღვანელი, რომელმაც გააცნო ექსპერტთა ჯგუფს „სიმულაციური ცენტრი“. შესაბამისად, საერთაშორისო ექსპერტის საუბარი იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ვიზიტის დროს მხოლოდ დეკანი და ასისტენტი იყო წარმოდგენილი, სიმართლეს არ შეესაბამება. რაც შეეხება

თვრამეტ ადმინისტრაციულ პერსონალს, ისინი უკვე რეალურად თანამშრომლობენ ქუთაისის უნივერსიტეტთან და პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ ამ პროგრამის განხორციელებაში ჩაერთვებიან როგორც დისტანციურად, ისე ადგილზე. საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადემ (Azim Mirzazadeh) განაცხადა, რომ 12 ადმინისტრაციულ პერსონალთან დაკავშირებით არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი იყო ნადმვილად წინარე ხელშეკრულებებთან დაკავშირებით ინფორმაცია, თუმცა დანამდვილებით ვერ დაზუსტდა იმ მომენტისათვის ამ პირების რეალური კავშირი უნივერსიტეტთან. სოფიო ხუნდაძემ, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ეს 12 ადამიანი აკრედიტაციის დროს უკვე აქტიურად თანამშრომლობდა უნივერსიტეტთან. თინათინ გოგნაძემ დაამატა, რომ ამ თორმეტ ადამიანში შედის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და თანამშრომელი, რომელიც ექსპერტებს ადგილზე დახვდათ და სხვადასხვა ლიტერატურის დათვალიერებაში გაუწია დახმარება. საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, 1.3 ქვესტანდარტში გაცემული იყო რეკომენდაცია სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასების გადახედვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, 1.4 ქვესტანდარტში გაცემული იყო რეკომენდაცია გარკვეულ სასწავლო კურსების ძირეულ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლის აუცილებლობასაც დასკვნის ნარატივი არ შეიცავდა. მას აინტერესებდა, პროგრამის მიმართ გაცემულ რეკომენდაციებს სჭირდებოდა თუ არა ერთიდან ორ წლამდე გამოსასწორებელი დრო. საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადემ (Azim Mirzazadeh) განაცხადა, რომ ნებისმიერი რეკომენდაციის გამოსწორება შეიძლება რამდენიმე კვირაში ფურცელზე დაწერილი სახით, თუმცა სისტემურად და შინაარსობრივად ამ რეკომენდაციების შესრულებას დასჭირდება დიდი დრო. საბჭომაც ყურადღება უნდა მიაქციოს საკითხების შინაარსობრივ ნაწილებს და არა მატერიალურ მოცემულობებს. აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ განაცხადა, რომ ბაზრის კვლევა, რომელიც დაწესებულებამ რესურსების ეფექტურად გამოყენების კუთხით წარმოადგინა ორ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობას მხარს უჭერს, რაც მისასალმებელია და ასევე, ამ მიდგომასთან თანხვედრაშია ბაზრის კვლევის შედეგები. მან აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა თუ დაწესებულება ბაზრის კვლევაში მოცემულ სტუდენტთა მოთხოვნის საპროგნოზო მაჩვენებელს სიფრთხილით შეხედავდა. დიაგრამა N1-ში, სადაც ჯანდაცვის ძირითადი მაჩვენებლებია მოცემული, პრაქტიკულად კომპონენტებში წლიდან წლამდე ცვლილება არ არის. მაგალითად, ექიმთა რიცხოვნობა, საწოლებისა და ამბულატორიული დაწესებულებების რაოდენობა და ა.შ. ამის დამატებითი შესწავლა იქნება საჭირო, რადგან ინდუსტრია იზრდება და მხარდამჭერი ბაზების რაოდენობა უცვლელი რჩება. ამ რისკების ილუსტრაცია შეიძლება იყოს 2020-2023 წლებში 2020-2022 წლებთან შედარებით სტუდენტთა რაოდენობის კლება. აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, სტუდენტთა მიღების კვოტა განსაზღვრული ჰქონდა თუ არა დაწესებულებას 600 სტუდენტი. სოფიო ხუნდაძემ უპასუხა, რომ უნივერსიტეტს აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების კვოტა განსაზღვრული ჰქონდა 600 სტუდენტით, კერძოდ, წელიწადში 100 სტუდენტით. თამარ ტუფინაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, ამ კვოტის პირობებში განხორციელდებოდა თუ არა პროგრამა სრულყოფილად. აზიმ მირზაზადემ (Azim Mirzazadeh) განაცხადა, რომ უნივერსიტეტში არსებული მატერიალური რესურსები დამაკმაყოფილებელია და იძლევა პროგრამის სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა შპს ქუთაისის უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს ვერ გასცა დამაჯერებელი პასუხი იმასთან დაკავშირებით თუ რატომ სურდა დაწესებულებას ამ პროგრამის თბილისში განხორციელება და ევროპის უნივერსიტეტის რესურსის, მათ შორის, „ტექნიკური უნივერსიტეტისგან“ იჯარის ხელშეკრულებით მიღებული ფართის გამოყენება, ნაცვლად იმისა, რომ უკვე არსებული პროგრამის გაუმჯობესებასა და სტუდენტების რაოდენობის გაზრდაზე ეზრუნა. ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორმა, სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისგან ნაქირავებია მხოლოდ ფართი და ყველა ის მოწყობა, რომელიც განხორციელდა ამ ფართში, ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ მოხდა.

შესაბამისად, ყველაფერი არ არის ნაქირავები. მისი თქმით, რესურსებთან დაკავშირებით უნივერსიტეტს საკმაოდ კომპლექსური მიდგომა გააჩნია. დათვლილია ყველა რესურსი 600 სტუდენტების სრულყოფილად მომსახურების მიზნით, მათ შორის, აუდიტორიების, ლაბორატორიების, სიმულაციური ოთახებისა და ბიბლიოთეკის გამტარუნარიანობა. ასევე, სამიზნე ნიშნულები დადგენილი და დაცულია აკადემიური და დამხმარე პერსონალისთვის. ასევე, როდესაც სტუდენტები იგზავნებიან პრაქტიკის ობიექტებზე, იქ არსებული პერსონალის რაოდენობიდან გამომდინარე დაწესებულება ამოწმებს რამდენად შესაძლებელია ამ რაოდენობის სტუდენტების გატარება. შესაბამისად, უნივერსიტეტი მოთხოვნილ კვოტას სრულად აკმაყოფილებს. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ქუთაისი უნივერსიტეტის ბიუჯეტი მედიცინის პროგრამასთან დაკავშირებით გაანგარიშებული მხოლოდ 50 სტუდენტზე. მას აინტერესებდა, რამდენად რეალისტური იყო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა მიღების კვოტა. სოფიო ხუნდაძემ დააზუსტა, რომ წარმოდგენილი იყო უკვე მოქმედი მედიცინისა და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ბიუჯეტი. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა საერთაშორისო ექსპერტს. მას აინტერესებდა, მატერიალური რესურსი რამდენად იყო საკმარისი წელიწადში 100 სტუდენტის მომსახურების მიზნით. საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადემ (Azim Mirzazadeh) განაცხადა, რომ დაწესებულების მიმართ ძირითადი შენიშვნები აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალის გამიჯვნას ეხებოდა. პროგრამის მდგრადობისთვის საჭიროა გაიმიჯნოს, როგორც ქუთაისის უნივერსიტეტისა და ევროპის უნივერსიტეტის, ისე შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ქალაქ ქუთაისსა და თბილისში ადგილზე არსებული რესურსები. ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ ტექნიკურ ბაზებთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაცემულა. სოფიო ხუნდაძემ დააზუსტა, რომ პროგრამის ბიუჯეტი ნამდვილად დათვლილი იყო 50 სტუდენტზე და არა 100-ზე, რადგან დაწესებულებას არ ჰქონდა პირველივე წელს 100 სტუდენტის მიღების მოლოდინი. ასევე, მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტში არ იყო აღნისნული იჯარის ხარჯები, რადგან წარდგენილი ბიუჯეტი არის 2023/2024 წლის და ამ პერიოდში იჯარის ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ანაზღაურების ვალდებულებას. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ევროპის უნივერსიტეტისა და ქუთაისის უნივერსიტეტის ადამიანურ რესურსები გამიჯნულია, რაც დასტურდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებებით.

აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულმა წევრმა ნინო შარიქაძემ დატოვა სხდომა 16:55 საათზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:18
დასრულების დრო: 17:57

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.
საბჭომ 2.4 კომპონენტთან მიმართებით დაამატა რეკომენდაცია - "რეკომენდებულია ფინალურ გამოცდებზე OSCE -ის სადგურების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 10-ით.", რამაც იმოქმედა კომპონენტის შეფასებაზე და კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა არ იმოქმედა მეორე სტანდარტის შეფასებაზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭებისა და პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

აკრედიტაციის საბჭოს კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 2
აკრედიტაციის მოწვეული საბჭოს კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-3, მე-3^3 და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27^9 მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით და პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 300 სტუდენტით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა თავისი მისიის დებულებებზე დაყრდნობით უფრო მეტად დაასაბუთოს თბილისში ახალი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შეთავაზების საჭიროება.
2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დააზუსტოს თბილისში ქუთაისის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დაინტერესებულ მხარეთა როლი პროგრამის შემუშავებაში, მათ შორის სწავლის შედეგების შემუშავებაში.
3. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადახედოს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის „პირდაპირ მეთოდს“, რათა შეაფასოს სწავლის შედეგების მიღწევა და არა სტუდენტთა პროგრესი გამოცდებზე.
4. რეკომენდებულია, სავალდებულო კურსების თანმიმდევრობის განსაზღვრა მიღწეული კომპეტენციების მიხედვით.
5. რეკომენდებულია, თითოეულ სასწავლო კურსს ჰყავდეს კონკრეტული ავტორი ან ხელმძღვანელი, რათა უზრუნველყოფილ იქნას კურსის ეფექტური განხორციელება.
6. რეკომენდებულია, კლინიკური და პროფესიული უნარები საბოლოო ეტაპზე შეფასდეს OSCE გამოცდით.
7. რეკომენდებულია აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდა პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

8. რეკომენდებულია ადმინისტრაციული პერსონალის დამატება, რომელიც უშუალოდ დაეხმარება ამ პროგრამას თბილისში.
9. რეკომენდებულია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის გაუმჯობესება დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისთვის, კერძოდ, ისეთი შეფასების სისტემის შექმნა და დანერგვა, რომელიც გაზომავს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონეს.
10. რეკომენდებულია, ფინალურ გამოცდებზე OSCE-ის სადგურების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 10-ით.

რჩევები:

1. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა თბილისში ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს.
2. სასურველის, უნივერსიტეტმა უფრო სწრაფად მოახდინოს ხარვეზებზე რეაგირება და არ დაელოდოს სამი წლის გასვლას.
3. სასურველია, რომ საიჯარო ხელშეკრულება გათვალისწინებულ იქნას ბიუჯეტში.

2. მეორე საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "ფინანსებისა" და "აღრიცხვა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა 1

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ფინანსები;
2. საფეხური - მაგისტრატურა;
3. სწავლების ენა - ქართული;
4. ECTS კრედიტების რაოდენობა - 120;
5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში;
6. დეტალური სფეროს კოდი - 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა;

პროგრამა 2

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - აღრიცხვა და აუდიტი;
2. საფეხური - მაგისტრატურა;
3. სწავლების ენა - ქართული;
4. ECTS კრედიტების რაოდენობა - 120;
5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი აღრიცხვასა და დაბეგვრაში;
6. დეტალური სფეროს კოდი - 0411 აღრიცხვა და დაბეგვრა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა გოჩა თუთბერიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, დაივა იურევიჩიენე (Daiva Jurevičienė), აკრედიტაციის საბჭოს არ ესწრებოდა. მისი პოზიცია პროგრამებთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს წერილის სახით უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, გიორგი ირემაშვილმა გააცნო. მისი თქმით, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ კლასტერში წარმოდგენილია ორი სამაგისტრო პროგრამა. "აღრიცხვის და აუდიტის" სამაგისტრო პროგრამა აკრედიტებულია 2022 წელს, ხოლო "ფინანსების" პროგრამა ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში. "აღრიცხვის და აუდიტის" პროგრამა უნიკალურია საქართველოში, ხოლო "ფინანსების" პროგრამა მნიშვნელოვანია ნებისმიერ ქვეყანაში, რაც ასევე დაადასტურეს დამსაქმებლებმა ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრების დროს. დაივა იურევიჩიენე (Daiva Jurevičienė) წერილში აღნიშნავს, რომ ორივე პროგრამას გააჩნია გარე მხარდამჭერი კოლეგიალური შეფასებები ევროპული და ქართული უნივერსიტეტებისგან და კომპანიებისგან. მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამების სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ ორივე პროგრამას გააჩნია სტუდენტების დაბალი რაოდენობის პრობლემა. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას აქვს სურვილი და ფინანსური შესაძლებლობები პროგრამებზე მოიზიდოს მეტი სტუდენტი, მათ შორის საერთაშორისო სტუდენტები, ინგლისურენოვანი ჯგუფების შექმნით. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა საკმარისია ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების სათანადოდ მომსახურებისთვის. თავმჯდომარის მოსაზრებით, კიდევ ერთ ნაკლოვანებას წარმოადგენს პერსონალის პუბლიკაციების ხარისხი და შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომების დონე. უნივერსიტეტს აქვს წვდომა Scopus-ის მონაცემთა ბაზაზე, თუმცა, არც აკადემიური პერსონალის და არც სტუდენტების მიერ არ ხდება მისი სათანადოდ გამოყენება. მიუხედავად ამისა, გასაუბრებებში მონაწილე ყველა აკადემიური პერსონალი ფლობს ბაზებში თავიანთ უნიკალურ საიდენტიფიკაციო კოდს ORCID და უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის სისტემა. ამრიგად, პროგრამების უფრო დეტალური აღწერა და გაუმჯობესების მიზნით გაცემული რეკომენდაციები წარმოდგენილია დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნაში მოცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების ბლოკს დაემატოს სტრატეგიული მარკეტინგის სასწავლო კურსი". მას აინტერესებდა, რა გახდა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. მან ივარაუდა, რომ ექსპერტებმა ნახეს „სტრატეგიული მენეჯმენტის" სილაბუსი, რომელიც მისი აზრით არ შეესაბამება სამაგისტრო დონეს. ექსპერტმა დავით სიხარულიძემ განაცხადა, რომ
პროგრამაში არსებობდა „სტრატეგიული მენეჯმენტის" სასწავლო კურსი, რომელიც არ შეესაბამებოდა სამაგისტრო დონეს. შესაბამისად, ეს გახდა ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ ის დეტალურად გაეცნო სამაგისტრო ნაშრომებს. მისი თქმით, ფინანსებში შესრულებული ერთ-ერთი სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება არაფინანსური კონკურენტუნარიანობის ანალიზს. მას აინტერესებდა, რამ გამოიწვია ეს. ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორმა, სოფიო ხუნდაძემ განაცხადა, რომ კურსდამთავრებულს პროგრამა ანიჭებს კვალიფიკაციას - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში. შესაბამისად, დასაშვებია, რომ ბიზნესის სხვადასხვა სფეროებიდანაც მოხდეს ნაშრომის დაცვა. მირზა ხიდაშელმა აღნიშნა, რომ ეს სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია 2020 წელს. ექსპერტების ძირითადი შენიშვნები ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომებს. დაწესებულება ყოველთვის ცდილობს, რომ დაინტერესებულ პირებს შესთავაზოს მაღალი ხარისხის ნაშრომები. რასაკვირველია, უმჯობესია ნაშრომი ეხებოდეს ფინანსურ მენეჯმენტს ან რისკებს, თუმცა დღეს ქართული ბიზნესის არ არის განვითარებული იმ დონეზე, რომ ყველა ხედავდეს მათ ფინანსურ მაჩვენებლებს. შესაბამისად, ხშირია, როდესაც

კვლევები ტარდება ეკონომიკასთან მონათესავე სფეროებთან. სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ გიორგი ღაღანიძის მიერ ნახსენებ რეკომენდაციას უნივერსიტეტი არ იზიარებდა იმიტომ, რომ კლასტერის ორივე პროგრამა ფარავდა დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს. დარგობრივი დოკუმენტი განსაზღვრავს ყველა შესაძლო კვალიფიკაციისთვის სწავლის შედეგებს. თუ სტრატეგიული მარკეტინგის მიმართულებით შედეგები სავალდებულოა რომ იფარებოდეს, მაშინ მინიმალურ მოთხოვნებში უნდა ყოფილიყო ამაზე საუბარი. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში, რასაც ასევე ადასტურებს პროგრამების სწავლის შედეგების რუკები. შესაბამისად, ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი არ არსებობდა. მირზა ხიდაშელმა დაამატა, რომ ამ მიმართულებით რთულია გასაუმჯობესებელი ნაბიჯების მოფიქრება, რადგან ექსპერტთა ჯგუფს არ გაუმახვილებია ყურადღება პროგრამის სტრუქტურის ხარვეზებზე. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, ლიტერატურის განახლება ყველა სასწავლო კურს ეხებოდა თუ კონკრეტულს. ექსპერტმა დავით სიხარულიძემ განაცხადა, რომ ლიტერატურის განახლება ყველა სასწავლო კურს არ ეხებოდა. მხოლოდ გარკვეული სასწავლო კურსები საჭიროებდა განახლებას. აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას სასწავლო გეგმის ფორმირებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ფინანსების პროგრამაში, კერძოდ, პირველ სემესტრში ისწავლება „მმართველობითი აღრიცხვა“ და „ფინანსური აღრიცხვა“. მას აინტერესებდა, ამ ორი სასწავლო კურსის ერთ სემესტრში სწავლება რამდენად მართებული იყო. აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამის ხელმძღვანელმა, პაატა კლდიაშვილმა აღნიშნა, რომ „მმართველობითი აღრიცხვა“ და „ფინანსური აღრიცხვა“ არის სამაგისტრო დონის სასწავლო კურსები, რომლებსაც აქვთ წინაპირობა „მმართველობითი აღრიცხვის“ და „ფინანსური აღრიცხვის“ პირველი დონის სახაით, რომელიც მისაღებ გამოცდაზე ბარდება. თუ აპლიკანტმა ჩააბარა მისაღები გამოცდა, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს როგორც მმართველობითი, ისე ფინანსური აღრიცხვისათვის შესაბამისი ცოდნა. შესაბამისად, ამიტომ არ არის ფინანსური აღრიცხვა მმართველობითი აღრიცხვის წინაპირობა. დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსებში მოცემულია “ბიზნესის კვლევის მეთოდები” და “რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები”, რომლებიც მეორე სემესტრში ისწავლება. მას აინტერესებდა, ამ ორი სასწავლო კურსის ერთ სემესტრში სწავლება რამდენად მართებული იყო სწავლის შედეგების მიღწევადობის თვალსაზრისით. მირზა ხიდაშელმა აღნიშნა, რომ ამ ორი სასწავლო კურსის პარალელურ რეჟიმში სწავლება არანაირ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა იმ საბოლოო მიზნის მისაღწევად, რომელსაც სამაგისტრო დონე ითვალისწინებდა. სტუდენტს ამით უვითარდება ის უნარები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც კვლევის დიზაინის აგებასთან, ისე იმ ინსტურმენტებთან, რომლებმაც კონკრეტულ შედეგებზე უნდა გაიყვანოს ნაშრომი. დიმიტრი ჯაფარიძემ გაამახვილა ყურადღება ,რომ ბიზნესის კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის გავლის დროს სტუდენტისთვის შეიძლება დამაბნეველი იყოს რაოდენობრივი კვლევის მეთოდები თუ მას არ ექნება რაოდენობრივი ანალიზის მეთოდების შესახებ შესაბამისი კომპეტენციები. ბიზნესის კვლევის მეთოდების პარალელურად, რაოდენობრივი ანალიზის სწავლება უშვებს იმ შესაძლებლობას, რომ ბიზნესის კვლევის დაწყებისას სტუდენტმა შეიძლება რაოდენობრივი ანალიზის ყველა ინსტრუმენტი არ იცოდეს, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ბიზნესის კვლევის მეთოდების შესწავლისას ის ვერ საზღვრავს ამ ინსტრუმენტების როლს, ადგილსა და დანიშნულებას. შესაბამისად, ამ ინსტრუმენტების სრული სპექტრის არცოდნა ბიზნესის კვლევის მეთოდების შესწავლაში სტუდენტს ხელს არ შეუშლის.
დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ სტუდენტს ეძლევა საშუალება, რომ უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამიდან აირჩიოს სასწავლო კურსი. მას აინტერესებდა, შვიდი კრედიტი რამდენი სასწავლო კურსისაგან შედგებოდა.
მირზა ხიდაშელმა აღნიშნა, რომ ეს იქნებოდა ჯამი ორი ძირითადი სასწავლო კურსის.

პაატა კლდიაშვილმა აღნიშნა, რომ „ფინანსური აღრიცხვის“ სასწავლო კურსის ფარგლებში დაწესებულებას აქვს გამოყენებული ლიტერატურა, რომელიც 2018 წელს არის გამოცემული და სრულად იძლევა სილაბუსით განსაზღვრული შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. სოფიო ხუნდაძემ თავისუფალ კრედიტებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამავე პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებითაც შეიძლება 7 კრედიტის შევსება. ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ფინანსების პროგრამაში აქტიურად არის გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზეა. სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, კერძოდ, შემუშავდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის დახვეწის შესახებ დოკუმენტი. უნივერსიტეტი სრულად იაზრებს ამ საკითხის მნიშვნელობას. მაგალითად, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი ტრენინგი და სამუშო შეხვედრა არის ჩატარებული პერსონალისთვის ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტად განვითარების მიზნით. ერთ-ერთი რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „რეკომენდებულია პრიორიტეტი მიენიჭოს საერთაშორისო, მაღალრეიტინგულ, Impact Factor-ის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციებს.” მისი თქმით, უნივერსიტეტი როგორც აფილირებული, ისე არააფილირებული პერსონალისგან ითხოვს აქტივობების განხორციელებას, რაც გაწერილია პერსონალის შეფასების წესში. თითოეულ აქტივობას მინიჭებული აქვს ქულა. ყველაზე მაღალი ქულა აქვს მინიჭებული საერთაშორისო, მაღალრეიტინგულ, Impact Factor-ის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:46
დასრულების დრო: 19:04

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.
საბჭომ 1.1 კომპონენტთან მიმართებით არსებული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა კლასტერულ რჩევებში და კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“.
1.4 კომპონენტთან მიმართებით საბჭომ დაამატა ახალი კლასტერული რეკომენდაცია, რამაც არ იმოქმედა კომპონენტის შეფასებაზე. 1.5 კომპონენტთან მიმართებით საბჭომ დააკორექტირა არსებული კლასტერული რეკომენდაცია შემდეგი სახით: "სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით გადაიხედოს სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალები. ანუ, ყველა საგანში გადაიხედოს სტუდენტებისთვის შეთავაზებული ლიტერატურა." და გადაიტანა კლასტერულ რჩევებში, რამაც არ იმოქმედა კომპონენტის შეფასებაზე.
საბჭომ 2.4 კომპონენტთან მიმართებით გაცემული კლასტერული რეკომენდაცია დააკორექტირა შემდეგი სახით: "რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს მისცენ ზუსტი მითითებები ლიტერატურული წყაროების ციტირების და სამაგისტრო ნაშრომში აკადემიური სტილის წესებთან შესაბამისობის შესახებ." და გადაიტანა 3.2 კომპონენტში, რამაც არ იმოქმედა კომპონენტების შეფასებაზე.
1.5 კომპონენტთან მიმართებით საბჭომ "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაცია - "რეკომენდებულია, ყველა კურსში გათვალისწინებული იყოს მინიმუმ ერთი საერთაშორისო რესურსი, სასურველია გამოქვეყნებული იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. - გადაიტანა რჩევებში.

1.5 კომპონენტთან მიმართებით საბჭომ "აღრიცხვა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას დაუმატა რჩევა.

გადაწყვეტილება 1
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 24 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 24 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების ბლოკს დაემატოს სტრატეგიული მარკეტინგის სასწავლო კურსი.
- რეკომენდებულია სტრატეგიული მენეჯმენტის სასწავლო კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან.
- რეკომენდებულია, განახლდეს სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები. ყველა სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნებს – თეორიული ნაწილი, მეთოდოლოგიური ნაწილი და პრაქტიკული ნაწილი (რომელიც უკავშირდება ავტორის მიერ განხორციელებულ კვლევას).
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტუდენტების მომზადება კვლევის მეთოდოლოგიაში, აკადემიურ წერაში და მონაცემთა ანალიზში.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე წვდომა, რაც მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის, და მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სწავლებაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას (R, Stata და ა.შ.).
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს მისცენ ზუსტი მითითებები ლიტერატურული წყაროების ციტირების და სამაგისტრო ნაშრომში აკადემიური სტილის წესებთან შესაბამისობის შესახებ.

- რეკომენდებულია, ლექტორებმა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით სტუდენტებს მიაწოდონ უკეთესი უკუკავშირი და გააუმჯობესონ მათი ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი სფეროების შედეგები.
- რეკომენდებულია, დაინერგოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესი, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა კვლევის განხორციელების სტანდარტებთან.
- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის გაძლიერება, იმისათვის, რომ მათ უფრო ინტენსიურად გამოაქვეყნონ საერთაშორისო აკადემიურ ჟურნალებში.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ პრიორიტეტი მიანიჭოს და გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის კვლევითი შედეგების გამოქვეყნება სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში შემავალ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, როგორიც არის იმპაქტ-ფაქტორის მქონე CA ან Scopus -ი.

რჩევები:

- სასურველია, დაწესებულებამ განახორციელოს მიმდინარე სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პოტენციური აპლიკანტების დეტალური გამოკითხვა, პროგრამების შესახებ მათი მოსაზრებების და ჩარიცხვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ბარიერის დასადგენად.
- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით გადაიხედოს სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალები. ანუ, ყველა საგანში გადაიხედოს სტუდენტებისთვის შეთავაზებული ლიტერატურა.
- სასურველია, გაძლიერდეს მარკეტინგული და ინფორმაციის მიწოდების აქტივობები, იმისათვის, რომ პოტენციურმა სტუდენტებმა უკეთ მიიღონ ინფორმაცია აღნიშნული პროგრამების ღირებულების და კარიერული პერსპექტივების შესახებ.
- სასურველია, დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით დამსაქმებლების, ჩართულობის გაძლიერება პროგრამის განვითარების პროცესში.
- სასურველია, "ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების" და "ინვესტიციების მართვის" სასწავლო კურსების შინაარსის გადახედვა.
- სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ასევე გაცვლით პროგრამებში.
- სასურველია, ბიბლიოთეკის რესურსები რეგულარულად განახლდეს ახალი გამოცემებით, მათ შორის საერთაშორისო გამოცემებით, რაც პროგრამას შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით უზრუნველყოფს.
- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს სტრატეგია პროგრამების თვითშეფასების და განვითარების პროცესში დამსაქმებლების ჩართულობის გასაზრდელად.
- რეკომენდებულია, ყველა კურსში გათვალისწინებული იყოს მინიმუმ ერთი საერთაშორისო რესურსი, სასურველია გამოქვეყნებული იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

გადაწყვეტილება 2
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "აღრიცხვა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 24 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-3 და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ემუხლის შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "აღრიცხვა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 24 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების ბლოკს დაემატოს სტრატეგიული მარკეტინგის სასწავლო კურსი.
- რეკომენდებულია სტრატეგიული მენეჯმენტის სასწავლო კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან.
- რეკომენდებულია, განახლდეს სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები. ყველა სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნებს – თეორიული ნაწილი, მეთოდოლოგიური ნაწილი და პრაქტიკული ნაწილი (რომელიც უკავშირდება ავტორის მიერ განხორციელებულ კვლევას).
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტუდენტების მომზადება კვლევის მეთოდოლოგიაში, აკადემიურ წერაში და მონაცემთა ანალიზში.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე წვდომა, რაც მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის, და მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სწავლებაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას (R, Stata და ა.შ.).
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს მისცენ ზუსტი მითითებები ლიტერატურული წყაროების ციტირების და სამაგისტრო ნაშრომში აკადემიური სტილის წესებთან შესაბამისობის შესახებ.
- რეკომენდებულია, ლექტორებმა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით სტუდენტებს მიაწოდონ უკეთესი უკუკავშირი და გააუმჯობესონ მათი ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი სფეროების შედეგები.
- რეკომენდებულია, დაინერგოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესი, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა კვლევის განხორციელების სტანდარტებთან.
- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის გაძლიერება, იმისათვის, რომ მათ უფრო ინტენსიურად გამოაქვეყნონ საერთაშორისო აკადემიურ ჟურნალებში.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ პრიორიტეტი მიანიჭოს და გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის კვლევითი შედეგების გამოქვეყნება სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში შემავალ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, როგორიც არის იმპაქტ-ფაქტორის მქონე CA ან Scopus -ი.

რჩევები:

- სასურველია, დაწესებულებამ განახორციელოს მიმდინარე სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პოტენციური აპლიკანტების დეტალური გამოკითხვა, პროგრამების შესახებ მათი მოსაზრებების და ჩარიცხვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ბარიერის დასადგენად.
- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით გადაიხედოს სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალები. ანუ, ყველა საგანში გადაიხედოს სტუდენტებისთვის შეთავაზებული ლიტერატურა.
- სასურველია, გაძლიერდეს მარკეტინგული და ინფორმაციის მიწოდების აქტივობები, იმისათვის, რომ პოტენციურმა სტუდენტებმა უკეთ მიიღონ ინფორმაცია აღნიშნული პროგრამების ღირებულების და კარიერული პერსპექტივების შესახებ.
- სასურველია, დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით დამსაქმებლების, ჩართულობის გაძლიერება პროგრამის განვითარების პროცესში.
- სასურველია, გადაიხედოს "სტრატეგიული მენეჯმენტის" სასწავლო კურსის უნარების კომპონენტი და "საჯარო სექტორის აუდიტის" სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები.
- სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ასევე გაცვლით პროგრამებში.
- სასურველია, ბიბლიოთეკის რესურსები რეგულარულად განახლდეს ახალი გამოცემებით, მათ შორის საერთაშორისო გამოცემებით, რაც პროგრამას შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით უზრუნველყოფს.
- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს სტრატეგია პროგრამების თვითშეფასების და განვითარების პროცესში დამსაქმებლების ჩართულობის გასაზრდელად.
- რეკომენდებულია, ყველა კურსში გათვალისწინებული იყოს მინიმუმ ერთი საერთაშორისო რესურსი, სასურველია გამოქვეყნებული იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

საკითხების ერთგვაროვნებიდან გამომდინარე საბჭოს წევრება გადაწყვეტილება შემდეგი შუამდგომლობები განეხილად ერთად:

მესამე საკითხი: "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54382 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მეოთხე საკითხი: "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41738 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მეხუთე საკითხი: "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,სამრეწველო დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41729 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მეექვსე საკითხი: "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,ტექსტილის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41746 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მეშვიდე საკითხი: "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,ინტერიერის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 09 იანვრის №10250 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მომართვის საფუძველზე (16-31, 19/11/2024, 6/1974, 22/11/2024), ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" (გადაწყვეტილება: №54382, 22/01/2024), ,,მოდის დიზაინის" (გადაწყვეტილება: №41738, 18/01/2024), ,,სამრეწველო დიზაინის" (გადაწყვეტილება: №41729, 18/01/2024), ,,ტექსტილის დიზაინის" (გადაწყვეტილება: №41746, 18/01/2024) და "ინტერიერის დიზაინის“ (გადაწყვეტილება: №10250, 09/01/2024) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ტექნიკური ხარვეზების გასწორებას. კერძოდ ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, საგანმანათლებლო პროგრამებს აქვთ დაშვების წინაპირობა, რომელიც მოიცავს შემოქმედებით ტურს. აღნიშნული საკითხი მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამების აღწერით ნაწილში, თუმცა მითითებული ინფორმაცია არ იასახა არც ექსპერტთა დასკვნაში და არც აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დასმსწრე წევრებს არსებობის შენთხვევაში წარმოდგინათ მოსაზრებები. საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები ან მოსაზრებები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შეხვენება:
დაწყების დრო: 19:10
დასრულების დრო: 19:18

მესამე საკითხი:

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54382 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54382 გადაწყვეტილების დანართ №1 -ში "დაშვების წინაპირობების" ველში დაემატოს - "შემოქმედებითი ტური".

მეოთხე საკითხი:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41738 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41738 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში "დაშვების წინაპირობების" ველში დაემატოს - "შემოქმედებითი ტური".

მეხუთე საკითხი:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,სამრეწველო დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41729 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "სამრეწველო დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41729 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში "დაშვების წინაპირობების" ველში დაემატოს - "შემოქმედებითი ტური".

მეექვსე საკითხი:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,ტექსტილის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41746 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ტექსტილის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41746 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში "დაშვების წინაპირობების" ველში დაემატოს - "შემოქმედებითი ტური".

მეშვიდე საკითხი:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,ინტერიერის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 09 იანვრის №10250 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე "სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ინტერიერის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 09 იანვრის №10250 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში "დაშვების წინაპირობების" ველში დაემატოს - "შემოქმედებითი ტური".

საკითხების ერთგვაროვნებიდან გამომდინარე საბჭოს წევრება გადაწყვეტილება შემდეგი შუამდგომლობები განეხილად ერთად:

მერვე საკითხი: "სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №46656 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მეცხრე საკითხი: "სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №43885 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მეათე საკითხი: "სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №43887 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მეთერთმეტე საკითხი: "სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "ჯაზის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №43889 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მეთორმეტე საკითხი: სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიური კვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 10 იანვრის №12991 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მეცამეტე საკითხი: "სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის „კომპოზიციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 10 იანვრის №13002 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მომართვის (01/797, 19/12/2024) საფუძველზე ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო (გადაწყვეტილება: №46656, 18/01/2024), "საშემსრულებლო ხელოვნების" სამაგისტრო (გადაწყვეტილება: №43885, 18/01/2024), "საშემსრულებლო ხელოვნების" სადოქტორო (გადაწყვეტილება: №43887, 18/01/2024), "ჯაზის ხელოვნების" საბაკალავრო (გადაწყვეტილება: №43889, 18/01/2024), "მუსიკოლოგიური კვლევების" სადოქტორო (გადაწყვეტილება: №12991, 10/01/2024) და "კომპოზიციის" სადოქტორო (გადაწყვეტილება: №13002, 10/01/2024) საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებს კანონმდებლობის შესაბამისად დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვთ შემოქმედებითი ტური, რომელიც მითითებული არ არის აკრედიტაცის საბჭოს გადაწყვეტილებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე წევრს არსებობის შენთხვევაში წარმოდგინათ მოსაზრებები. საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები ან მოსაზრებები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შეხვენება:
დაწყების დრო: 19:32
დასრულების დრო: 19:40

მერვე საკითხი:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №46656 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე "სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №46656 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში "დაშვების წინაპირობების" ველში დაემატოს - "შემოქმედებითი ტური".

მეცხრე საკითხი:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №43885 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე "სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №43885 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში "დაშვების წინაპირობების" ველში დაემატოს - "შემოქმედებითი ტური".

მეათე საკითხი:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №43887 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე "სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №43887 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში "დაშვების წინაპირობების" ველში დაემატოს - "შემოქმედებითი ტური".

მეთერთმეტე საკითხი:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "ჯაზის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №43889 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე "სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "ჯაზის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №43889 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში "დაშვების წინაპირობების" ველში დაემატოს - "შემოქმედებითი ტური".

მეთორმეტე საკითხი:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიური კვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 10 იანვრის №12991 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიური კვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 10 იანვრის №12991 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში "დაშვების წინაპირობების" ველში დაემატოს - "შემოქმედებითი ტური".

მეცამეტე საკითხი:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის „კომპოზიციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 10 იანვრის №13002 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე "სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის „კომპოზიციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 10 იანვრის №13002 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში "დაშვების წინაპირობების" ველში დაემატოს - "შემოქმედებითი ტური".

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 24 დეკემბრის 19:45 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ზუსტი ასლი
ელექტრონული